# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 1562 2024 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი

## საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2024 წლის 16 – 18 სექტემბრის №28 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/

სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების უზრუნველყოფა პროგრამული დაფინანსების ფარგლებში და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე